



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ა) ირმა ხუციშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

ბ) გოგი თოდუა - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნონა გვილავა - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) მარიამ ლეკიაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ე) სოფიო მურუსიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ეკა მოსიაშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ხათუნა რუსიშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ნათია ნაფეტვარიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნატო გერგაია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ვლადიმერ უშიკიშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნათია ბალხამიშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).





ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	249259136

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის N6ა
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის პორტალი skolebi.emis.ge, https://apkhazeti5.blogspot.com/ https://www.facebook.com/აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა





ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Apkhazeti5@mes.gov.ge
---	--

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	Mes 3 25 0000478895
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025წლის 29 და 30 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
---	--	---	---	---





	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის N6ა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის N6ა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის N6ა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდ ვითარებაში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია. შედგა ექსპერტების ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანანმშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მოიპოვეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. მოსაზრებების ურთიერთშეჯერება და მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული. დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა. ის მონაწილეობდა ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც კოლეგა ექსპერტებთან ერთად განხორციელდა სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა, ის მონაწილეობდა საგნობრივ კოლეგებთან ერთად (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) კათედრებთან დაგეგმილ შეხვედრებში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება





კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება





სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 170	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	☒ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	





III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მხრიდან ვიდეოსათვალთვალო კამერების ადმინისტრირება, რათა განხორციელდეს სკოლის სივრცეების პირდაპირ რეჟიმში კონტროლი.
ინდიკატორი 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/5/01-23/5 ბრძანებით განსაზღვრულ მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად ექიმის აყვანა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.4.1.1.	ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. რჩევა: უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიღება.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სკოლას მიეცა რჩევა: პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის აყვანის შესახებ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას, სასწავლო რესურსებს ყველგან მიუთითონ გვერდები. სასურველია, გადახედონ კურიკულუმი ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად. ასევე მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, კურიკულუმი ტექნიკურად გაიმართოს და ყველა კლასისთვის ერთნაირი ფორმით იყოს წარმოდგენილი, რათა შემდგომში კურიკულუმზე მუშაობა გამარტივდეს; სამიზნე ცნებებთან წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ქვეცნებები (III - IV კლასი). ესთეტიკის საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას თემის, საკითხის და შედეგების ურთიერთკავშირი განიხილონ სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებთან კავშირში.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. მათემატიკაში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა. სასურველია კურიკულუმი შემუშავდეს ესგ სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების/საკითხების/ქვესაკითხების შესაბამისად. ასევე უნდა დაზუსტდეს შუალედური მიზანი თემებთან მიმართებაში (VI კლასი). სასურველია კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა წარმოდგენილი იყოს კურიკულუმში.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას, გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.





ინდიკატორი 2.2.1.	კურიკულუმის განხორციელება	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას, სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას math.ge -ზე განთავსებული რესურსები საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა, საგანი მოქალაქეობა - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. საგანი ისტორია - სასურველია სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა სასწავლო რესურსებს მიუთითონ გვერდები. სასურველია გადახედონ კურიკულუმის ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად .
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, საბაზო საფეხურის





		კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. თუმცა ზოგ შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა (IX კლ). სასურველია კურიკულუმში შემუშავდეს ესგ-ს სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების/საკითხების/ქვესაკითხების შესაბამისად. ასევე სასურველია კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა წარმოდგენილი იყოს კურიკულუმში
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს, სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, სასურველია შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.





ინდიკატორი N2.2.2.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას math.ge -ზე განთავსებული რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა, საგანი მოქალაქეობა - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. საგანი ისტორია - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, სასწავლო რესურსებს ყველგან მიუთითონ გვერდები. სასურველია, გადახედონ კურიკულუმის ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა, თუმცა ზოგიერთ





		შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა სასურველია კურიკულუმი შემუშავდეს ესგ - ს სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების /საკითხების/ ქვესაკითხების შესაბამისად.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. თუმცა ზოგ შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა. სასურველია კურიკულუმი შემუშავდეს ესგ-ს სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების/საკითხების/ქვესაკითხების შესაბამისად. ასევე სასურველია კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა წარმოდგენილი იყოს კურიკულუმში. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს, სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მათთვის





		არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამის რესურსით	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას math.ge -ზე განთავსებული რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა, საგანი მოქალაქეობა - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. საგანი ისტორია - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის





		ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;





5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თანასწორუფლებიან და მხარდამჭერ გარემოში თავისუფალი პიროვნების აღზრდაზე, რომელიც აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ, მზადაა აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. სკოლის მისიის მიზანია ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობის შექმნით, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით, თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, აგრეთვე ტოლერანტული თვისებების მატარებელი, ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა, განუვითაროს მოსწავლე-ახალგაზრდობას საკუთარი შესაძლებლობების სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრის უნარი. ხედვაა 2031 წლისთვის ოცნება მულტიკულტურული ბრენდი, რომელიც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი, თავისუფალი, ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისკენ. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად. სკოლა ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე: სამართლიანობა, გუნდურობა, ზრუნვა, გამჭვირვალობა, სკოლისადმი ერთგულება, სიახლეების მიმართ ღიაობა. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება ჩამოუყალიბოს, აქცენტს აკეთებს ტრადიციებსა და ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიის, თანასწორობისა კონკურენტუნარიანობის პრინციპების დაცვაზე. სკოლის ფილოსოფია ითვალისწინებს სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას, სასწავლო პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობისთვის ყველა საჭირო პირობის შექმნას, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვას.

ხედვის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს კეთილსინდისიერი, თავისუფალი, ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად.





სკოლის ფილოსოფია ითვალისწინებს და საზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია





3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-71 ბრძანებით შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ბრძანების შესაბამისად, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ონლაინ გამოკითხვასა და პირისპირ ფორმატის საშუალებით. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში განთავსებული იყო ბმული, რომლის საშუალებითაც დანტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკითხები და მიმართულებები და მათი მხრიდან რჩევების შემდეგ, მომზადდა მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმი, სადაც განხილულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება, რითაც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისიის, ხედვის პროექტი განთავსებული იყო სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, განიხილეს სამუშაო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსია, რაც წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზიარების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორ იზიარებს მისიაში გამოცხადებულ მიმართულებებს სკოლის თანამშრომლები და როგორ ცოცხლდება ის ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში. ამის გათვალისწინებით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები და სკოლის ყოველდღიური საქმიანობა გამომდინარეობს სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებებისგან, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს და მიმართულია მოსწავლეთა შორის თანასწორობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე (სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში). ასევე განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.





6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 28 ოქტომბრის N933 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა

2.სტრატეგიული განვითარების გეგმა

3.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

4.მისია, ხედვა, ღირებულებები

5.სოციალური გვერდი

6.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N933 28.10.2009(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ)

7.სამეურვეო საბჭოს ოქმი

8.პედსაბჭოს ოქმი

9.სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ბრძანება N2-71/ა 11.06.2024

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება





1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან სამუშაო ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი). მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით; მეთოდოლოგიის თანახმად, მიზნები და ამოცანები ჩაშლილია სამი მიმართულებით: აკადემიური საქმიანობა, სასწავლო გარემო და ეფექტიანობა. სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, გამოწვევასა და გარემოს ანალიზს. ამ ნაწილში შეფასებული და გათვალისწინებულია ყველა ფაქტორი, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სტრატეგიული გეგმის შესრულებასა და სკოლის მდგრად განვითარებაზე.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის ციკლური, რაც გაწერილია წარმოდგენილ დოკუმენტში წლების მიხედვით. როგორც, აღვნიშნეთ სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს



ჩამოყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შვიდწლიან ციკლს და მისი სტრატეგიული მიზნებია: სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით. სკოლა აქტიურად იყენებს საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, სკოლის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია, დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს. ხედვის თანახმად, სკოლაში სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობით მოხდება პასუხისმგებლობის გადანაწილებით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობების აღზრდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 13 სექტემბერის N2 სხდომაზე. სკოლის სტრატეგიული გეგმის მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე, იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N2-30/ა 13/09/2024წ) მე-10 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025წ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ამოცანისა და აქტივობის შესაბამისი პირები მაგალითად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-

ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურვეო საბჭო, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი და სხვა. ასევე განსაზღვრულია შეფასების წყაროები, შეფასებისთვის პოტენციურად გამოსაყენებული დოკუმენტი, ცნობა, ოქმი, ანგარიში, სტატია და ა.შ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2.სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 3.სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

(დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანება N2-30/ა. 13.09.2024წ) რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს (მუხლი მეშვიდე და მეთორმეტე) სტრატეგიის

შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურია სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).
პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).
სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (2024 წლის 13.09. ბრძ. N2-30/ა) საშტატო განრიგის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა, რაც განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებშიც. გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობები.

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექთანი, დარაჯი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ცეცხლფარეში. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებში და კოლეგიალური ორგანოს შესაბამის დებულებებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულების უფლება/მოვალეობა. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების შესწავლით, დასტურდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა თუ კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი პირების ვინაობა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ფუნქციათა აღრევის პრევენციულ ღონისძიებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თანამშრომლები წარმოადგენდნენ არსებულ მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ კითხვის შესაბამის პასუხებს. სასკოლო საზოგადოების წევრები იაზრებდნენ ფუნქციებს სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

1. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
2. სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქცია მოვალეობები.
3. ემისის ბაზის მონაცემები
4. შრომითი ხელშეკრულებები;
5. პირადი საქმეები;
6. საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას.

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის

პრინციპებს;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 13.09. 2024წ) დოკუმენტის შესაბამისად, რომლის თანახმად, ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, ამოცანები, ღირებულებები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, თანამშრომელთა ადაპტაცია და სხვა. სკოლაში ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება მასში ცვლილების შეტანა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებების აღრიცხვა ხდება ტაბელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომა N2 13.09.2024წ) არეგულირებს კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებას. როგორც სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა ექსპერტებთან, სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება, მათი ადაპტაცია, ინტეგრაცია და მოტივაცია სამუშაო გარემოში, ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარება, თანამშრომელთა შორის კომუნიკაციისა და არაფორმალური ურთიერთობების წახალისება. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებენ წახალისების სხვადასხვა მეთოდს, ნერგავენ შეფასების სისტემას, აანალიზებენ და აფასებენ პერსონალის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ზრუნავენ მათ კარიერულ წინსვლაზე, შემუშავებულია დასაქმებულის არყოფნის დროს მისი ჩანაცვლების მექანიზმი. სკოლას პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები, რაც რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსი ცხადდება ღიად და გამჭვირვალედ. თუ სკოლას არ ჰყავს შიდა კადრი ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი წესების და ვადების შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონკურსო კომისიას განცხადება განთავსდება www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს და ქმნის თანამშრომელთა პირად საქმეებს. თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და 2020 წლიდან დასაქმებულებს უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისთვის დასაქმებულია 25 პედაგოგი, მათგან - 19 უფროსი, 4 წამყვანი, 2 მენტორი. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალურ მოთხოვნებს. ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რაც სტატუსის შესაბამისია და განსაზღვრულია უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები. პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება კანონით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შემუშავებულია დოკუმენტი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციების აღწერა, სადაც დეტალურადაა განხილული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-30/ა 13.09.2024წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები სამეურვეო საჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



6. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ იყენებს წახალისების ფორმებს:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები ხშირად წარმოადგენენ საკუთარი გამოცდილებას სამუშაო შეხვედრების დროს. საკუთარი მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების წარდგენის, პრეზენტაციის გამოფენის შედეგად ყოველთვის აკეთებენ ანალიზს და აღნიშნავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
 - 1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
 - 2. შინაგანაწესი
 - 3. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
 - 4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წ.
 - 5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შეიძლება არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმN5. 29.05.2025წ) რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების წევრები ეხმარებიან კოლეგებს საჭიროების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებს. ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. მონაწილეობენ არა მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და კონფერენციებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზეპირველადი ავტორიზაციის ფარგლებში.

ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, რისთვისაც სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. დაწესებულებას ჰყავს სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლები, რომლებიც ზრუნავენ სტატუსის გაუმჯობესებაზე და ამისათვის აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსისტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში. პერსონალის პირად საქმეებში იყო სხვადასხვა ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატები. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ხელი შეუწყოს ასევე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მართავს პერსონალთან (მასწავლებლებთან) სამუშაო შეხვედრებს, სადაც ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ავსებს სემესტრულად თვითშეფასების ფორმას. ანალიზის შედეგად მუშავდება პროფესიული მხარდაჭერის გეგმა, რომელიც აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები. ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმარტივეს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ხდება მათი წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე (პედსაბჭო, მოსწავლეების, მშობლების). სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი), რაც ადასტურებს, რომ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების რეალიზებაში. ამისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

მაგალითად, ექსპერტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლების ინიციატივით ჩატარდა შეხვედრები თემაზე: „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში“ და სხვა. სკოლა მუდმივად ხელს უწყობს ამ და სხვა ტიპის ინიციატივებს, ამარაგებს მათ საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- 2.შინაგანაწესი
- 3.ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომათა ოქმები.
- 4.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის N 2-30/ა (13.09.2024წ.) ბრძანებით, რომლის თანახმად, განსაზღვრულია შიდა და გარე შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი, ადამიანური რესურსების შეფასება და სხვა. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განვითარე. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოყენებული იქნება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში (ბრძ. N2-30/ა, 13 სექტემბერი 2024წ.) გაწერილია: მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება,

სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლობის, მოსწავლეების/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და დოკუმენტში-გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N-30/ა 13.09.2024, ასევე გაწერილია ვადები და პროცედურები. სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლესა თუ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის გადაწყვეტილება. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით (2-30/ა 13.09. 2024წ) სადაც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. ასევე დაცვის მექანიზმები განისაზღვრება თანამშრომელსა და სკოლას, მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებებით.

5. სკოლაში გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N2-1/გ. 23.01.2025წ. შესაბამისად, სადაც გაწერილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



2. გასაჩივრების მექანიზმები
3. სკოლის შინაგანაწესი
4. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
5. პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში ხდება სიახლეების განთავსება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირის, ანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დოკუმენტი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N2-30/ა 13.09.2024წ. ბრძანების შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს, ოფიციალური ინფორმაციის გაცემის წესს და მიღებული უკუკავშირის გამოყენების მექანიზმებს სკოლაში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2.სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ფილოსოფია, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები. პედაგოგიური საბჭო ასევე ამტკიცებს საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სახელმძღვანელოებიდან კათედრების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას, იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან. საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნული დასტურდება საგნობრივი კათედრების სხდომათა ოქმებით და გასაუბრებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი/კომუნიკაციის წესი
- 2.დისციპლინური კომიტეტის დებულება
- 3.მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- 4.საგნობრივი კათედრის დებულება
- 5.სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



□ არ შესაბამეობა

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ

შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს დარაჯი (2). ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით, რომელიც აკონტროლებს სკოლის გარე და შიდა პერიმეტრს, თუმცა სკოლაში არ არის მონიტორი და არ არის პირი, ვინც მუდმივ რეჟიმში მოახდენს ვიდეოსათვალთვალო კამერების ადმინისტრირებას. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია , 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მხრიდან ვიდეოსათვალთვალო კამერების ადმინისტრირება, რათა განხორციელდეს სკოლის სივრცეების პირდაპირ რეჟიმში კონტროლი.** სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი, მასწავლებლები მუდმივად აკონტროლებენ დერეფანში მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი (ბრძ. N1-65 2024წ. 21. 03). სკოლის

შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ (წერილი N109789. 05.02.2025წ). დაწესებულებას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, (N334967- 06.02.2025წ) სკოლას არ ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიღება.

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, მაცივარი, გადასატანი/მოხილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტების რაოდენობა. სკოლას აქვს პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს 1 ექთანი, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ექიმის აყვანა. სკოლას აქვს სკოლის ექთნის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად. სკოლას აქვს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები.

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები (ბრძ. N2-10, 2025 06. თებერვალი), აღნიშნული პირი გადამზადებულია, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასების დამრიგებლები. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ამისთვის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები (ბრძ. N2-30/დ. 2024წ 13 სექტემბერი). უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ერთბლივად უზრუნველყოფენ საგნის პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან საჭიროებების შესაბამისად. დამრიგებლები ატარებენ სადამრიგებლო საათს, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად, მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ყოველდღიურად ხდება სასწავლო ოთახების და სკოლების საერთო სარგებლობის ფართების სანიტარული დასუფთავება და განიავება; სკოლაში ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლას ჰყავს სამი დამლაგებელი და ორი მეეზოვე. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლში და არის სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის შენობის დასუფთავების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა აწარმოებს სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძ. N2-1/ზ 23.01.2025წ). სკოლაში გამოყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუმცა სკოლას არ ჰყავს

და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იზრუნოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის აყვანაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის პასუხი იყო, რომ ისინი ელოდებიან შესაბამის ინსტრუქციებს სამინისტროსა და რესურსცენტრიდან, რის შემდეგაც დაარეგულირებენ ამ საკითხს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს სკოლა კანონმდებლობის სრული დაცვით იცავს და ინახავს ინფორმაციას. ინფორმაციულ- უსაფრთხოების დაცვის მიზნით პროგრამები, რომლებსაც სკოლა იყენებს ლიცენზირებულია, სკოლა იყენებს მხოლოდ განათლების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების შეტანაზე, ინფორმაციის კორექტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე.

ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო რჩევა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანის თაობაზე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძ. N2-1/ზ, 23.01. 2025წ.). სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი და აგრეთვე, სკოლაში დასაქმებული სხვა პირები ფუნქციების შესაბამისად, რაც დეტალურად აღწერილია დოკუმენტში. სკოლის ხელთ არსებული ინფორმაცია ინახებოდა ადმინისტრაციისათვის (დირექცია და საქმისმწარმოებელი) განკუთვნილ ოთახში, მატერიალური და ციფრული ფორმით. სკოლა იყენებს ანტივირუსულ პროგრამებს, სარეზერვო ასლებს ინახავს გარე ვინჩესტერზე, რომელიც პერიოდულად ახლდება, ასევე სკოლის სერვერზე და google drive-ზე. სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაც უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები.
2. ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ
3. ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის

შესახებ.

4. სადამრიგებლო პროგრამები;
5. მიღება-ჩაბარების აქტები;
6. მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
7. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების კორესპონდენცია.
8. შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსიხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს სსიპ ქუთაისის N24 საჯარო სკოლის შენობაში, თუმცა აღნიშნული სკოლიდან ეზო გამიჯნულია და სკოლა ფუნქციონირებს ცალკე მდგომ შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 11224.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 6983.52 კვ. მ. სკოლის სრული რეაბილიტაცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა.

შენობა ორსართულიანია, სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც იმართება ეზოში კაპიტალურად მოწყობილი საქვებდან. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექციის კაბინეტი, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათებით), სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სააქტო დარბაზი და საპირფარეშოები (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები ორივე სართულზე) განთავსებულია გოგონებისა და ვაჟებისთვის.

სკოლის ეზოში მოწყობილია შემოსაზღვრული სპორტული მოედანი. სკოლის ეზო სრულად შემოსაზღვრულია და დაცულია უსაფრთხოება.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სააქტო დარბაზში არის სკამები, სცენა. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით. ამდენად, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიების სარგებლობის წესი. სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი

სათანადო ინვენტარითა და რესურსით და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ შეუზღუდავად. სსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყველა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძ. N2-30/ა. 2024წ. 13 სექტემბერი). ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის შენობის მეორე სართულზე. ერთ სივრცეშია მოწყობილი წიგნსაცავი და სამკითხველო სივრცე. საცავში წიგნები განთავსებულია თემატურად. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი. საბიბლიოთეკო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლამ წარმოადგინა მიღება - ჩაბარების დოკუმენტები. როგორც ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებისას აღმოჩნდა და თავად ბიბლიოთეკარმაც ექსპერტებთან აღნიშნა, ყველა წიგნი არ იყო საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავებული, რისი მოწესრიგებაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში უზრუნველყო. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი წიგნადი ფონდის აღრიცხვისთვის, რაც განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად. სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში

აღრიცხულია ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი)ვინაიდან სკოლას საშტატო განრიგით არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, სოციალური დასაქმების პროგრამით და დასაქმებულია ბიბლიოთეკარის დამხმარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. კერძოდ, შენობის შესასვლელი ადაპტირებულია (პანდუსებით არის უზრუნველყოფილი), სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი განთავსებულია პირველ სართულზე. კომპიუტერული ლაბორატორია მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. ორივე სართულზე მოწესრიგებულია ადაპტირებული სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის. თუმცა, შიდა სივრცეში კი არ იყო პანდუსი სართულებზე ასასვლელად. საჭიროა სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის ხელმისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე პირთათვის.

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნიდა სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა ეტლით მოსარგებლე პირთათვის შიდა სივრცეში სართულებზე გადაადგილებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიასთან, თუმცა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ უზრუნველყო ინკლუზიური გარემოს შექმნა და კიბეებზე დაამონტაჟა საჭირო მოწყობილობა, შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის სივრცეები (ფოიე, ბიბლიოთეკა, ITლაბორატორია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი, სპორტული დარბაზი, ეზო, სპორტული მოედანი) გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ვიქტორინებისათვის. სკოლის ფოიეში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებისთვის იმართება სხვადასხვა აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2.შენობის ნახაზი.

3.ინვენტარიზაციის მასალები.

4. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლის ბაღანსზე ირიცხება პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები, სკოლის შენობაში არის უწყვეტი ინტერნეტი, როგორც ქსელური, ასევე WIFI. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. მასწავლებლებს შეუძლიათ გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში არის პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ საშუალება კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენონ დავალებებისა და პროექტებზე მუშაობისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინვენტარიზაციის მასალები.

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3. კომპიუტერული ტექნიკის მიღება- ჩაბარების დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც. ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდუალური ნომერი. სკოლაში იწარმოება გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ყოველი კალენდარული წლის მიხედვით თანმიმდევრულად ინომრება

ხელშეკრულებები და ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლას აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-30/ა. 13.09.2024 და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხი ეგზავნებათ შესაბამის ვადებში. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა. იტვირთება ბრძანებები, რომელიც სკოლაში გამოიცემა. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მოხილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებების საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი.
2. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.
3. შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;
4. საჯარო სკოლების პორტალი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი - ეს სივრცე არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და იღებს სრულ პასუხისმგებლობას სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისათვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექციასთან გასაუბრება.

2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

3. ვებგვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებით დასტურდება ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა, რისი შემუშავებაც ხდება ბაზრის კვლევისა და საგნობრივი კათედრებისა და სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფინანსური ანგარიში.
2. ინვენტარიზაციის მასალები
3. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
5. სკოლის ბიუჯეტი.
6. წლიური შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

1. სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი. ყველა მოსწავლეს აქვს სწავლისა და სასწავლო რესურსის თანაბარი პირობები და ხელმისაწვდომობა. დაწყებითი კლასის მოსწავლეები უზუნველყოფილნი არიან კომპიუტერებით ე.წ. „ბუკებით“. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები. მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების დოკუმენტაციას. ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან კომუნიკაციის დებულება, რომლებიც განთავსებულია საჯარო სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებებზე დამრიგებლები აცნობენ შინაგანაწესს. კლასებში განთავსებულია მოსწავლეთა მიერ შემუშავებული ქცევის წესები. მოსწავლეების შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის განთავსება ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით. დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში უზიარებენ მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



3. სკოლას გაფორმებული აქვს მშობლებთან ხელშეკრულებები ბუკებისა და სახელმძღვანელოების გადაცემასთან მიმართებით. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
 2. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
 3. სადამრიგებლო ოქმები
 4. სოციალური ქსელი, ვებგვერდი
 5. სკოლის შინაგანაწესი
 6. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
 7. მშობელთა კრების ოქმები
 8. მშობლების თანხმობის განაცხადი ფოტო, ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დაცვის დოკუმენტი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; ასევე მოსწავლეთა უფლებები/ ვალდებულებები. დოკუმენტი შესაბამისია კანონმდებლობასთან და სხვა შიდა რეგულაციებთან. სკოლის მიერ წამოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამჭვირვალე და მკაფიოა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და იცავს ყველა წესს, რომელიც ეხება მოსწავლის ჩარიცხვასა და მობილობას, ასევე სტატუსის შეჩერებას. მოსწავლის ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება მხოლოდ მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, ხოლო სტატუსის შეჩერება / შეწყვეტა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და მიჰყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა თავისი გადაწყვეტილებების დროს არის ღია საკომუნიკაციოდ. სასკოლო გეგმაში ითვალისწინებს მშობელთა ინტერესებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც ეცნობიან სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მაგ: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა უნიფორმა, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები, მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვ). მსგავსი ტიპის შეხვედრები იმართება სასწავლო წლის ბოლოსაც, სადაც დაინტერესებულ პირებს სკოლა აცნობს მიღწევებს და ესაუბრება მომავალი სასწავლო წლის გეგმებზე, ასევე იღებს უკუკავშირის სასკოლო საზოგადოებისგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

1) სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების დოკუმენტაციას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (eflow) და განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმი, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №04ნ ბრძანებას. ყველა მოსწავლე სკოლაში ჩარიცხულია ასაკის შესაბამისად.

2) სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ გამოიცემა დირექტორის შესაბამისი ბრძანება.

3) მეორე უცხო ენის არჩევისას, სკოლა მშობლებთან ნიშნავს შეხვედრებს და სთავაზობს ენების არჩევანს. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომლის მუშაობის წესდება, მიზნები და ამოცანები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები
2. მობილობის ბრძანებები;



3. შემოსული განცხადებები;
4. სოციალური ქსელი, ვებგვერდი;
5. პედ. საბჭოს სხდომის ოქმები;
6. მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ მშობელთა კრების ოქმი;
7. მშობლების თანხმობის განაცხადი ფოტო, ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე;
8. ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
 4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
 5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
 6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაჯობებს მოსწავლეთა მომსახურებას.
- ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. პირველკლასელთა ადაპტაცია, მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაცია, საბაზო საფეხურზე გადამსვლელი მოსწავლეების ადაპტაცია და ასევე დეზადაპტაციის ნიშნების ამოცნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო ცხოვრებაში და ადაპტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლეები აქტიურად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. ასევე ელ. ჟურნალის საშუალებით მოსწავლე და მშობელი იღებს ინფორმაციას გაცდენების, ექსტერნების და გამოცდების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლაში შექმნილია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერა. არაფორმალური განათლების კუთხით ხორციელდება პროექტები, მოსწავლეებისთვის გაზიარებულია არაფორმალური აქტივობების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა აწარმოებს კითხვარს, რომელშიც მოსწავლის მშობელი აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით. მშობელთა უმრავლესობა მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მოხარული იქნებიან, თუ სკოლა გააძლიერებს არაფორმალურ განათლებას და ასევე სკოლის ეზოს კეთილმოწყობა მათი მთავარი მოთხოვნაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
2. მასწავლებლებისგან გაცემული განმავითარებელი უკუკავშირები
3. მოსწავლეთა ინიციატივებით მოწყობილი ღონისძიებების ლინკები, პროექტები, ამსახველი ბუკლეტები
4. მშობელთა კრების ოქმები
5. ჯანსაღი ცხოვრების წესი
6. მშობელთა კმაყოფილების კითხვარები
7. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება დირექტორის ბრძანება N2-30/ა 13.09.2024, ტრანზიციის წესი
8. პროექტი „მხატვრული ვიტრაჟი“

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
